



Accountants &  
business advisers

## **თ.რ. ს/ს ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი**

ფინანსური ანგარიშგება  
2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
და დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

**დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა**

**ზირათ ბანკის თბილისის ფილიალის მენეჯმენტს**

**ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიკაცია**

1. ჩვენ ჩავატარეთ ზირათ ბანკის თბილისის ფილიალის (შემდგომში „ბანკი“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას, მთლიანი შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

2. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

3. ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს პროცედურებს, აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. კონკრეტული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, რაც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკის შეფასებას. რისკის ასეთი შეფასებისას, აუდიტორი განიხილავს იმ შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომელიც მნიშვნელოვანი და შესაფერისია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს არსებული პირობებისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოხატოს საკუთარი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე მოიცავს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის შეფასებასა და მენეჯმენტის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობის, ასევე მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

**მოსაზრება**

4. ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2009 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

თბილისი, საქართველო

11 მაისი 2010



	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2009	31 დეკემბერი, 2008
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	5,912,861	13,326,423
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში		254,542	306,000
სხვა ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები		-	8,962
დისკონტური ფასიანი ქაღალდები		13,840,726	6,384,449
კლიენტებისათვის გაცემული სესხები	6	980,110	1,437,513
წინასწარ გადახდილი გადასახადები		668,854	74,688
ძირითადი საშუალებები, წმინდა	7	80,656	104,600
არამატერიალური აქტივები, წმინდა	8	149,713	54,947
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	21,331	5,464
სხვა აქტივები	10	93,482	71,329
<b>სულ აქტივები</b>		<b>22,002,274</b>	<b>21,774,375</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ბანკების ანგარიშები		206	1,048
კლიენტების ანგარიშები	11	5,738,581	5,596,368
სხვა ვალდებულებები		360,018	944,756
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>6,098,805</b>	<b>6,542,172</b>
<b>რეზერვები</b>			
სარეზერვო ფონდი	12	15,232,203	13,063,863
საანგარიშო პერიოდის მოგება/(ზარალი)		671,266	2,168,340
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>15,903,469</b>	<b>15,232,203</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>22,002,274</b>	<b>21,774,375</b>

დამტკიცებულია ბანკის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2010 წლის 11 მაისს:

ჰასან ფერით იუჯეილმაზი  
 გენერალური დირექტორი

დავით ქისტაური  
 მთავარი ბუღალტერი



	შენიშვნა	2009 წელი	2008 წელი
<b>საპროცენტო შემოსავალი</b>			
კლიენტებზე გაცემული სესხები		262,376	188,219
ფასიანი ქაღალდებიდან		944,076	1,666,202
სხვა ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები		2,294	281,502
		1,208,746	2,135,923
<b>საპროცენტო ხარჯი</b>			
კლიენტების დეპოზიტები		(18,114)	(27,435)
სხვა ბანკებისათვის გადასახდელი თანხები		(798)	(2,200)
		<b>(18,912)</b>	<b>(29,635)</b>
<b>საპროცენტო შემოსავალი, წმინდა</b>		<b>1,189,834</b>	<b>2,106,286</b>
საპროცენტო სარგებლიანი აქტივების გუფასურება	13	(329,613)	(58,206)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლიანი აქტივების გუფასურების შემდეგ</b>		<b>860,221</b>	<b>2,048,080</b>
საკომისიო შემოსავალი	14	545,942	683,410
საკომისიო ხარჯი	14	(27,245)	(12,802)
<b>საკომისიო შემოსავალი, წმინდა</b>		<b>518,697</b>	<b>670,608</b>
<b>უხოურ ვალუტასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები</b>			
უცხოური ვალუტით ვაჭრობა		393,748	661,361
უცხოური ვალუტის გადაფასება		(11,053)	81,495
სხვა საოპერაციო შემოსავალი		121,926	34,236
<b>სხვა არასაპროცენტო შემოსავალი</b>		<b>504,621</b>	<b>777,092</b>
საოპერაციო ხარჯი	15	(1,228,140)	(924,404)
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>655,399</b>	<b>2,571,376</b>
მოგების გადასახადი	9	15,867	(403,036)
<b>მოგება დაბეგვრის შემდეგ</b>		<b>671,266</b>	<b>2,168,340</b>

დამტკიცებულია ბანკის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2010 წლის 11 მაისს:

ჰასან ფერთ იუჯეილმაზი  
 გენერალური დირექტორი

დავით ქისტაური  
 მთავარი ბუღალტერი



	შენიშვნა	2009 წელი	2008 წელი
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		671,266	2,168,340
პერიოდის სხვა მთლიანი შემოსავალი / (ხარჯი)		-	-
სულ პერიოდის მთლიანი შემოსავალი / (ხარჯი)		671,266	2,168,340

დამტკიცებულია ბანკის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2010 წლის 11 მაისს:

ჰასან ფერით იუჯეილმაზი  
გენერალური დირექტორი

დავით ქისტაური  
მთავარი ბუღალტერი



	2009 წელი	2008 წელი
<b>ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
წმინდა მოგება	671,266	2,168,340
ამორტიზაცია	48,240	39,426
<b>სულ</b>	<b>719,506</b>	<b>2,207,737</b>
საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო რეზერვის წმინდა (ზრდა)/შემცირება	51,458	569,380
სხვა ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრების წმინდა (ზრდა)/შემცირება	8,962	(4,373)
დისკონტური ფასიანი ქაღალდების წმინდა (ზრდა)/შემცირება	(7,456,290)	6,964,606
კლიენტებისთვის გაცემული სესხების წმინდა (ზრდა)/შემცირება	457,403	(731,032)
წინასწარ გადახდილი გადასახადების წმინდა (ზრდა)/შემცირება	(591,027)	19,666
წინასწარ გადახდილი გადასახადების, მოგების გარდა, წმინდა (ზრდა)/შემცირება	(3,139)	-
გადავადებული მოგების გადასახადის წმინდა (ზრდა)/შემცირება	(15,867)	3,493
სხვა აქტივების წმინდა (ზრდა)/შემცირება	(22,153)	257,283
სხვა ბანკების დეპოზიტების წმინდა ზრდა/(კლება)	(842)	(166)
კლიენტების მიმდინარე ანგარიშებზე არესებული ნაშთების წმინდა ზრდა/(კლება)	142,213	(222,347)
სხვა ვალდებულებების წმინდა წმინდა ზრდა/(კლება)	(584,738)	908,731
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>(8,014,018)</b>	<b>7,765,240</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(119,061)	(100,224)
შემოსავლები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	70,419
<b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(119,061)</b>	<b>(29,805)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		
სარეზერვო ფონდის ზრდა	-	-
<b>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>	<b>-</b>	<b>-</b>
<b>ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)</b>	<b>(7,413,573)</b>	<b>9,943,172</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის</b>	<b>13,326,423</b>	<b>3,383,251</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსათვის</b>	<b>5,912,850</b>	<b>13,326,423</b>

დამტკიცებულია ბანკის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2010 წლის 11 მაისს:

ჰასან ფერით იუჯვეილმაზი  
 გენერალური დირექტორი

დავით ქისტაური  
 მთავარი ბუღალტერი



	სარეზერვო ფონდი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი სარეზერვო
<b>საწყისი ნაშთი 2007 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>12,332,515</b>	<b>731,348</b>	<b>13,063,863</b>
წმინდა მოგება	-	2,168,340	2,168,340
სარეზერვო ფონდი	731,348	(731,348)	-
<b>საწყისი ნაშთი 2008 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>13,063,863</b>	<b>2,168,340</b>	<b>15,232,203</b>
წმინდა მოგება		671,266	671,266
სარეზერვო ფონდი	2,168,340	(2,168,340)	-
<b>საწყისი ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>15,232,203</b>	<b>671,266</b>	<b>15,903,469</b>

დამტკიცებულია ბანკის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2010 წლის 11 მაისს:

ჰასან ფერით იუჯეილმაზი  
 გენერალური დირექტორი

დავით ქისტაური  
 მთავარი ბუღალტერი



## 1. ძირითადი საქმიანობა

სააქციო საზოგადოება თ.ს. ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი (“ბანკი”) არის კომერციული ბანკი, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (“სებ”) გაცემული საბანკო საქმიანობის ლიცენზიის შესაბამისად. ბანკი დაარსდა 1998 წლის 2 მარტს სააქციო საზოგადოება თ. ემლაქ ბანკის მიერ და იწოდებოდა სააქციო საზოგადოება თ. ემლაქ ბანკის თბილისის ფილიალად. 2001 წელს მოხდა თ. ემლაქ ბანკის აქტივების და ვალდებულებების ნაწილობრივი გადაცემა თ.ს. ზირაათ ბანკზე, რის გამოც 2001 წლის სექტემბერში ბანკმა შეიცვალა სახელწოდება და დარეგისტრირდა ს.ს. თ.ს. ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი-ს სახელწოდებით. ბანკის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, 0102 თბილისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი №148.

2009 წლის ბოლოსთვის ბანკის კადრები წარმოდგენილი იყო 18 ძირითადი და 6 დროებითი თანამშრომლით, 14 ძირითადი და 8 დროებითი 2008 წელს.

## 2. ბანკის საოპერაციო გარემო

საქართველოს კვლავ ახასიათებს გარდამავალი საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები. მისი მახასიათებლები მოიცავს, და არა მხოლოდ, ისეთი ვალუტის არსებობას, რომელიც არ არის თავისუფლად კონვერტირებადი უმრავლეს ქვეყანაში და გააჩნია ვალუტის შეზღუდული კონტროლი. საქართველოს საგადასახადო, საბაჟო და სავალუტო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციას და განიცდის ხშირ ცვლილებებს.

საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკის მომავალ განვითარებასთან დაკავშირებული გაურკვევლობა. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად ძლიერ არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ღონისძიებათა ეფექტურობაზე.

## 3. წარდგენის საშუალები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ბანკი აწარმოებს თავის სააღრიცხვო ჩანაწერებს საქართველოს საბანკო საქმიანობისა და აღრიცხვის მარეგულირებელი წესების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარებში (ლარი). ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, შესრულებული ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მარჯვენა ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

## 4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არის ანგარიშგების ისეთი მუხლები, რომელთა კონვერტირება ნაღდ ფულში შესაძლებელია ერთ დღეში. ყველა მოკლევადიანი ბანკთაშორისი განთავსებები შეტანილია სხვა ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებში.



#### 4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (ბაზრძქმება)

##### *სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში.*

სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტს, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად და ამიტომ არ არის აღიარებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში როგორც ფული და ფულადი ექვივალენტები.

##### *დისკონტური ფასიანი ქაღალდები*

ბანკის ფასიანი ქაღალდები შედგება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ერთ თვემდე ვადის მქონე სადეპოზიტო სერტიფიკატებისგან. სადეპოზიტო სერტიფიკატების შეძენა ხდება აუქციონის მეშვეობით. სადეპოზიტო სერტიფიკატების აღრიცხვა ხდება ნომინალური ღირებულებით, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გადაუხადოს ბანკს განაღდების თარიღის დადგომისთანავე. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადა არის პერიოდი, რომლის დამთავრებისთანავე უნდა მოხდეს ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულების დაფარვა და წარმოადგენს დაფარვისა და შეძენის დღეებს შორის კალენდარული დღეების სხვაობას. სხვაობა სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალურ ღირებულებასა და მის საანგარიშსწორებო ფასს შორის, რომელიც ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებია, წარმოადგენს დისკონტს, რომლის შემოსავალში აყვანა ხდება ყოველი თვის ბოლოს, მოცემულ თვეში სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადის კალენდარული დღეების რაოდენობის პროპორციულად.

##### *სესხები და მოთხოვნები*

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადი და რომელთაც კოტირება არ ხდება ბაზარზე. ისინი არ კლასიფიცირდება როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, არ განისაზღვრება როგორც გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები და არ გამოიყენება მოკლე პერიოდში გაყიდვის მიზნით. ასეთი აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება სესხისა და მოთხოვნის ჩამოწერისას, გაუფასურებისას, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

##### *ფინანსური აქტივების გაუფასურება ამორტიზირებული ღირებულებით*

ბანკი ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღით ასახავს ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ (წარმოშობილი “ზარალის ფაქტი”) და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთაც სარწმუნოდ განსაზღვრავს შესაძლებელია.

გაუფასურების საფუძველი შესაძლოა მიგვანიშნებდეს, რომ მსესხებელი თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის განრიგს, არსებობს მისი გაკოტრების ალბათობა და სხვა, ან თუ სავარაუდოა სამომავლო ფულადი ნაკადების კლება ეკონომიკური პირობების ცვლილებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს საკონტრაქტო პირობების დარღვევას.

##### *ძირითადი საშუალებები*

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რაც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, რომლის მიხედვითაც თითოეული ძირითადი საშუალების ღირებულება სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით გადანაწილებულია სასარგებლო მომსახურების ვადაზე ქვემოთ მოცემული ნორმების მიხედვით:

კომპიუტერები და კომუნიკაციები	25% წელიწადში
სატრანსპორტო საშუალებები	20% წელიწადში
ავიჯი და მოწყობილობა	17% წელიწადში
კაპიტალური დანახარჯები იჯარით აღებულ შენობებზე	25% წელიწადში
სხვა	25% წელიწადში



#### 4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (ბაზრქმეობა)

##### *ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)*

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე მოგების განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია მოგება ზარალის-ანგარიშგებაში, ხარჯების გაწევის მომენტში.

##### *არამატერიალური აქტივები*

არამატერიალური აქტივები ძირითადად მოიცავს კომპიუტერული პროგრამების ხარჯებს. ხარჯები, დაკავშირებული კომპიუტერული პროგრამების განახლება/ექსპლუატაციასთან, ჩაითვლება გაწეულ ხარჯებში.

##### *შემოსავლის და ხარჯის აღიარება*

პროცენტული შემოსავალი და ხარჯი ყველა სარგებლის მქონე ინსტრუმენტზე ასახულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური შემოსავლიანობის მეთოდის გამოყენებით ფაქტიური შესყიდვის ფასზე. პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი მოიცავს ფიქსირებულ შემოსავლიან ფასთან ქალაქებზე დარიცხულ დისკონტს და პროცენტს.

მომსახურებაზე ანაზღაურება, საკომისიოები და სხვა შემოსავლები აისახება მოგება-ზარალის უწყისში დარიცხვის მეთოდით, მომსახურების ფაქტიური გაწევისას.

##### *უცხოური ვალუტის გადაფასება*

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2009 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო 1 აშშ დოლარი=1.6858 ლარი; 1 ევრო=2.4195 ლარი; 1 თურქული ლირა=1,1158 ლარი (2008: 1 აშშ დოლარი=1.667 ლარი; 1 ევრო=2.3648 ლარი; 1 თურქული ლირა=1,1100 ლარი). გაცვლასთან დაკავშირებული შეზღუდვები და კონტროლი არსებობს ქართული ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებასთან დაკავშირებით. ამჟამად საქართველოს ფარგლებს გარეთ უმრავლეს ქვეყანაში ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა.

##### *ურთიერთგადაფარვა*

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარულია და ასახულია ბალანსში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.



<b>5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>	<b>31 დეკემბერი, 2009</b>	<b>31 დეკემბერი, 2008</b>
ნაღდი ფული	1,706,289	3,216,704
საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული თანხები (სავალდებულო რეზერვის გარდა)	3,029,870	7,581,952
საკორესპონდენტო ანგარიშები	1,176,691	2,527,767
<b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>	<b>5,912,850</b>	<b>13,326,423</b>

ფულის და ფულადი ეკვივალენტების გეოგრაფიული, სავალუტო და გადახდის ვადების ანალიზი მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

**6. კლიენტებზე ბაცემული სესხები**

ეკონომიკური სექტორების მიხედვით რისკების კონცენტრაცია არის შემდეგი:

<b>6.1 პორთფელის სტრუქტურა სექტორების მიხედვით</b>	<b>31 დეკემბერი, 2009</b>	<b>31 დეკემბერი, 2008</b>
ფიზიკური პირები	658,465	833,275
ვაჭრობა და მომსახურება	587,360	473,167
უძრავი ქონება და მშენებლობა	69,308	97,535
სხვა	67,190	106,135
<b>სულ სესხები</b>	<b>1,382,322</b>	<b>1,510,112</b>
გამოკლებული: სულ სესხებზე დანაკარგების რეზერვი	(402,212)	(72,599)
<b>სულ სესხები, წმინდა</b>	<b>980,110</b>	<b>1,437,513</b>

ინფორმაცია სესხების უზრუნველყოფის შესახებ 2009 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

<b>6.2 პორთფელის სტრუქტურა უზრუნველყოფის მიხედვით</b>	<b>31 დეკემბერი, 2009</b>	<b>31 დეკემბერი, 2008</b>
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	661,511	450,786
მარაგებით და ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფილი სესხები	298,321	171,882
მესამე პირის გარანტიით უზრუნველყოფილი სესხები	148,763	385,789
პირადი ნივთებით უზრუნველყოფილი სესხები	241,892	472,462
არაუზრუნველყოფილი სესხები	31,834	29,194
<b>სულ სესხები</b>	<b>1,382,322</b>	<b>1,510,112</b>
გამოკლებული: სულ სესხებზე დანაკარგების რეზერვი	(402,212)	(72,599)
<b>სულ სესხები, წმინდა</b>	<b>980,110</b>	<b>1,437,513</b>

<b>6.3 პორთფელის სტრუქტურა სესხების ვადიანობის მიხედვით</b>	<b>31 დეკემბერი, 2009</b>	<b>31 დეკემბერი, 2008</b>
მოკლევადიანი სესხები	432,598	767,158
გრძელვადიანი სესხები	678,095	699,267
ვადაგადაცილებული სესხები	271,629	43,687
<b>სულ სესხები</b>	<b>1,382,322</b>	<b>1,510,112</b>
სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(402,212)	(72,599)
<b>კლიენტებისათვის გაცემული სესხები, წმინდა</b>	<b>980,110</b>	<b>1,437,513</b>



**7. ძირითადი საშუალებები**

	კომპიუტერები და კომუნიკაციები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობა	კაპიტალური დანახარჯები იჯარით აღებულ შენობებზე	სხვა	სულ
<b>ისტორიული ღირებულება</b>						
ნაშთი 31.12.2008	82,086	66,820	195,421	2,650	11,138	358,116
შესყიდვა/რეკლასიფიკაცია	10,295	-	4,172	-	-	14,467
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
<b>ნაშთი 31.12.2009</b>	<b>82,086</b>	<b>66,820</b>	<b>195,421</b>	<b>2,650</b>	<b>11,138</b>	<b>372,582</b>
<b>აკუმულირებული ცვეთა</b>						
ნაშთი 31.12.2008	64,966	27,009	147,752	2,650	11,138	253,515
პერიოდის ცვეთა	9,531	8,406	20,476	-	-	38,413
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
<b>ნაშთი 31.12.2009</b>	<b>74,459</b>	<b>35,453</b>	<b>168,226</b>	<b>11,138</b>	<b>2,650</b>	<b>291,926</b>
<b>ნარჩენი ღირებულება</b>						
ნაშთი 31.12.2008	82,086	66,820	195,421	2,650	11,138	358,116
<b>ნაშთი 31.12.2009</b>	<b>17,922</b>	<b>31,367</b>	<b>31,367</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>80,656</b>

**8. არამატერიალური აქტივები**

	ისტორიული ღირებულება	აკუმულირებული ამორტიზაცია	ნარჩენი ღირებულება
ნაშთი 31.12.2008	112,205	(57,258)	54,947
შესყიდვა / პერიოდის ცვლილება	104,594	(9,827)	94,764
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
<b>ნაშთი 31.12.2009</b>	<b>216,798</b>	<b>(67,085)</b>	<b>149,713</b>

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება ბანკის პროგრამული უზრუნველყოფისგან

**9. გადავადებული საგადასახადო აქტივი**

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გამოითვლება ფინანსურ და საგადასახადო აღრიცხვას შორის დროებით სხვაობებთან მიმართებაში საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. დროებითი სხვაობების ეფექტი, რომელთა გამოც წარმოიქმნება გადავადებული საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება, წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	31 დეკემბერი, 2009	31 დეკემბერი, 2008
<b>გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>		
ცვეთა	3,801	5,464
კლიენტებზე გაცემული სესხები	17,531	-
<b>წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი (ვალდებულება)</b>	<b>21,331</b>	<b>5,464</b>

ცხრილში ნაჩვენებია წლის განმავლობაში გადავადებული გადასახადის ცვლილება:

	2009 წელი	2008 წელი
გადავადებული გადასახადის ნაშთი წლის დასაწყისისათვის	5,464	8,958
ცვლილება	15,867	(3,494)
<b>წლის ბოლოსათვის</b>	<b>21,331</b>	<b>5,464</b>



**9. გადავადებული საბადასახადო აქტივი (ბაბრეშება)**

პერიოდის განმავლობაში გადავადებული გადასახადის პოზიციაში ცვლილება ჩართულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, რაც გავლენას ახდენს მოგების გადასახადის ხარჯის ოდენობაზე:

	2009 წელი	2008 წელი
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი	-	400,523
გადავადებული გადასახადის ეფექტი	15,867	2,513
<b>მოგების გადასახადი</b>	<b>15,867</b>	<b>403,036</b>

**10. სხვა აქტივები**

	31 დეკემბერი, 2009	31 დეკემბერი, 2008
დებიტორული დავალიანება	24,110	5,806
სესხებზე მისაღები პროცენტი	12,706	20,895
ავანსები	57,685	48,295
	<b>94,501</b>	<b>74,996</b>
მინუს: სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(1,019)	(3,667)
<b>სულ სხვა აქტივები</b>	<b>93,482</b>	<b>71,329</b>

**11. კლიენტების ანგარიშები**

	31 დეკემბერი, 2009	31 დეკემბერი, 2008
<b>იურიდიული პირები</b>		
- მიმდინარე ანგარიშები	2,752,546	3,098,569
<b>ფიზიკური პირები</b>		
- მიმდინარე ანგარიშები	2,986,035	2,497,799
<b>სულ მიმდინარე ანგარიშები</b>	<b>5,738,581</b>	<b>5,596,368</b>

კლიენტების ანგარიშების კონცენტრაცია ეკონომიკური სექტორის მიხედვით:

	2009 წელი		2008 წელი	
	თანხა	%	თანხა	%
ფიზიკური პირები	2,986,035	52.03%	2,497,799	44.63%
სახელმწიფო ორგანიზაციები	663,219	11.56%	519,311	9.28%
ვაჭრობა	1,593,461	27.77%	1,996,356	35.67%
სამთომომპოვებელი დარგი	213,912	3.73%	236,600	4.23%
სამშენებლო	167,641	2.92%	278,803	4.98%
სხვა	114,313	1.99%	67,499	1.21%
<b>სულ მიმდინარე ანგარიშები</b>	<b>5,738,581</b>	<b>100%</b>	<b>5,596,368</b>	<b>100%</b>

კლიენტების ანგარიშების გეოგრაფიული, სავალუტო და გადახდის ვადის ანალიზი მოცემულია მე-16 შენიშვნაში. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ნაშთების შესახებ მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

**12. სარეზერვო ფონდი**

ადგილობრივი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად (საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 23 მარტის №144 ბრძანება) საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა განსაზღვრულია 12,000,000 ლარით. 2009 წლის 31 დეკემბრისათვის ბანკის საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა შეესაბამებოდა დადგენილ ნორმებს.



**13. საპროცენტო სარგებლიანი აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი**

საპროცენტო სარგებლიანი აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი შექმნილია ადგილობრივი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №350 ბრძანება) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ 39-ის მიხედვით (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) და შექმნა პორტფელის რეზერვები გაუფასურებით მიღებული დანაკარგისთვის და გამოითვლება, როგორც 2% მთლიანი სასესხო პორტფელის თანხისა. დაგვიანებულ სესხებზე რეზერვები შემდეგნაირად გამოიყურება: 30 დღეზე მეტი გადაცილებით რეზერვდება სესხის თანხის 10%-ად, 60 დღეზე მეტი ხნის გადაცილება რეზერვდება 30%, 120 დღეზე მეტი ხნით დაგვიანების შემთხვევაში სესხი რეზერვდება 50 პროცენტით.

	2009 წელი	2008 წელი
საწყისი ნაშთი	(72,599)	(14,418)
მიმდინარე პერიოდის	(329,613)	(58,206)
<b>საბოლოო ნაშთი</b>	<b>(402,212)</b>	<b>(72,599)</b>

**14. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი**

	2009 წელი	2008 წელი
<b>საკომისიო შემოსავალი</b>		
საკომისიო ნაღდი ფულით ოპერაციებზე	205,214	284,351
საკომისიო ანგარიშსწორების ოპერაციებზე	313,364	365,032
სხვა	27,364	34,027
<b>სულ საკომისიო შემოსავალი</b>	<b>545,942</b>	<b>683,410</b>
<b>საკომისიო ხარჯი</b>		
საკომისიო ნაღდი ფულით ოპერაციებზე	(1,568)	(1,350)
საკომისიო ანგარიშსწორების ოპერაციებზე	(25,223)	(9,219)
სხვა	(454)	(2,233)
<b>სულ საკომისიო ხარჯი</b>	<b>(27,245)</b>	<b>(12,802)</b>
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	<b>518,697</b>	<b>670,608</b>

**15. სა(ოპერაციო) ხარჯი**

	2009 წელი	2008 წელი
პერსონალის ხარჯი	668,815	534,621
იჯარა	180,283	95,422
ძირითადი საშუალებების ცვეთა	38,413	43,869
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	9,827	10,354
იურიდიული და პროფესიონალური მომსახურების ხარჯი	58,529	55,256
დაზღვევა	12,238	11,099
საკომუნიკაციო და საფოსტო მომსახურება	100,604	66,908
დაცვა	62,460	53,917
წარმომადგენლობითი ხარჯები	8,108	9,052
კომუნალური მომსახურება	13,603	12,677
საოფისე ხარჯი	7,171	7,621
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	10,669	5,655
სხვა აქტივების გაუფასურება	(2,648)	(46,634)
სხვა	389,681	64,587
<b>სულ საოპერაციო ხარჯი</b>	<b>1,557,753</b>	<b>924,404</b>



**16. ფინანსური რისკების მართვა**

ბანკში რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებთან (საკრედიტო, ბაზრის, გეოგრაფიული, ვალუტის და ლიკვიდურობა რისკი), საოპერაციო რისკთან და საკანონმდებლო რისკთან მიმართებაში. ინანსური რისკის მართვის მთავარი მიზანია დააწესოს რისკის ზღვარი და უზრუნველყოს აღნიშნული რისკების გავლენის მოქცევა ამ ზღვარში. რისკის შეფასება ასევე ქმნის იმის საფუძველს, რომ მოხდეს კაპიტალის განთავსება, გარიგების ფასების განსაზღვრა და საქმიანობის შეფასება რისკის გათვალისწინებით. ოპერაციული და საკანონმდებლო რისკის მართვა გამიზნულია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სათანადო ფუნქციონირება საოპერაციო და საკანონმდებლო რისკის მინიმუმამდე შესამცირებლად.

**გეოგრაფიული რისკი** - ბანკის აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2009 წლის 31 დეკემბრისათვის:

	საქართველო	გეთო	სულ
<b>ქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,736,159	1,176,691	5,912,850
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში	254,542	-	254,542
დისკონტური ფასიანი ქაღალდები	13,840,736	-	13,840,736
კლიენტებისათვის გაცემული სესხები	980,110	-	980,110
წინასწარ გადახდილი გადასახადები	668,854	-	668,854
ძირითადი საშუალებები, წმინდა	80,656	-	80,656
არამატერიალური აქტივები, წმინდა	149,713	-	149,713
გადავადებული საგადასახადო აქტივი	21,331	-	21,331
სხვა აქტივები	93,482	-	93,482
<b>სულ აქტივები</b>	<b>20,825,583</b>	<b>1,176,691</b>	<b>22,002,274</b>
<b>ვალდებულებები</b>			
საბანკო დეპოზიტები	206	-	206
მიმდინარე დეპოზიტები	5,738,581	-	5,738,581
სხვა ვალდებულებები	360,018	-	360,018
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>6,098,805</b>	<b>-</b>	<b>6,098,805</b>
<b>წმინდა საბალანსო პოზიცია</b>	<b>14,726,778</b>	<b>1,176,691</b>	<b>15,903,469</b>

ზემოთ მოყვანილ ცხრილში აქტივები და ვალდებულებები ჩვეულებრივ აისახება იმ ქვეყნის მიხედვით, სადაც კონტრაგენტია განთავსებული. ნაღდი ფული და ძირითადი საშუალებები აისახება იმ ქვეყნის მიხედვით, სადაც ისინი ფიზიკურად არსებობს.



**16. ფინანსური რისკების მართვა (გაბრძანება)**

**სავალუტო რისკი** - ბანკს გააჩნია რისკი, რომელიც აისახება ბანკის ფინანსურ პოზიციასა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შევჯამებულია უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკის გავლენა ბანკზე 2009 წლის 31 დეკემბრისათვის.

	აშშ		სხვა		სულ
	ლარი	დოლარი	ევრო	ვალუტა	
<b>აქტივები</b>					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,085,961	2,231,775	579,144	15,970	5,912,850
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში	-	231,835	22,707	-	254,542
დისკონტური ფასიანი ქაღალდები	13,840,736	-	-	-	13,840,736
კლიენტებისათვის გაცემული სესხები	30,114	949,996	-	-	980,110
წინასწარ გადახდილი გადასახადები	668,854	-	-	-	668,854
ძირითადი საშუალებები, წმინდა	80,656	-	-	-	80,656
არამატერიალური აქტივები, წმინდა	149,713	-	-	-	149,713
გადავადებული საგადასახადო აქტივი	21,331	-	-	-	21,331
სხვა აქტივები	93,482	-	-	-	93,482
<b>სულ აქტივები</b>	<b>17,970,847</b>	<b>3,413,606</b>	<b>601,851</b>	<b>15,970</b>	<b>22,002,274</b>
<b>ვალდებულებები</b>					
საბანკო დეპოზიტები	206	-	-	-	206
მიმდინარე დეპოზიტები	1,115,620	4,193,778	429,183	-	5,738,581
სხვა ვალდებულებები		360,018			360,018
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>1,115,826</b>	<b>4,553,796</b>	<b>429,183</b>	<b>-</b>	<b>6,098,805</b>
<b>წმინდა საბალანსო პოზიცია</b>	<b>16,855,022</b>	<b>(1,140,190)</b>	<b>172,668</b>	<b>15,970</b>	<b>15,903,469</b>

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ვალუტები, რომელთა ცვლილება ბანკისთვის მნიშვნელოვანი რისკის წყაროა. ცხრილი წარმოადგენს აღნიშნული ვალუტების კურსის გონივრულ ფარგლებში ცვლილების შესაძლო ეფექტს ბანკის მოგება-ზარალზე, იმ დაშვებით, რომ ყველა სხვა ფაქტორი უცვლელია. უარყოფითი თანხები ასახავენ მოგების ან კაპიტალის წმინდა კლებას, დადებითი თანხები კი ასახავენ პოტენციურ ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი. ყველა თანხები მოცემულია ლარში.

ვალუტა	უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება	31/12/2009		31/12/2008	
		გავლენა გადასახადებამდე მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე*	გავლენა გადასახადებამდე მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე *
		ლარი	ლარი	ლარი	ლარი
აშშ დოლარი	-10%	114,019	96,916	(109,971)	(93,475)
	-5%	57,009	48,458	(54,985)	(46,738)
	5%	(57,009)	(48,458)	54,985	46,738
	10%	(114,019)	(96,916)	109,971	93,475
ევრო	-10%	(17,267)	(14,677)	(173)	(147)
	-5%	(8,633)	(7,338)	(87)	(74)
	5%	8,633	7,338	87	74
	10%	17,267	14,677	173	147

\* - კაპიტალზე გავლენა ასახულია მოგების გადასახადის გათვალისწინებით



**16. ფინანსური რისკების მართვა (გაბრძნობა)**

**ლიკვიდურობის რისკი** - ლიკვიდურობის რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ბანკის აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ერთმანეთთან შეუსაბამობის გამო ბანკი ვერ მოახერხებს ვალდებულებების ვადაში დაფარვას არსებული აქტივებით. ბანკის ლიკვიდურობაზე გავლენას ახდენს კლიენტების მიერ მათი მიმდინარე ანგარიშებიდან ნაღდი ფულის რესურსების ყოველდღიური მოთხოვნილება. ბანკი არ ინარჩუნებს (არ ინახავს) იმ ოდენობის ნაღდი ფულად რესურსებს, რომელიც საჭირო იქნებოდა კლიენტების მიერ მიმდინარე ანგარიშებიდან მთელი მათი თანხების ერთდროულად მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რადგან გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კლიენტების მიერ თანხების მოთხოვნის მოსალოდნელი დონე შეიძლება განჭვრეტადი (შეფასებული) იქნას საკმარისად საიმედოდ.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს 2009 წლის 31 დეკემბრისათვის აქტივებსა და ვალდებულებებს მათი კონტრაქტით გათვალისწინებულ გადახდის ვადაზე თანხვედრას, გარდა ისეთი შემთხვევებისა, თუ არის იმის მტკიცებულება, რომ ნებისმიერი ეს აქტივი შეიძლება გაუფასურდეს და ანაზღაურებული იქნეს მათი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის შემდეგ, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ანგარიშსწორების საგარეულო თარიღი.

	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ
<b>აქტივები</b>					
პირაფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,912,850	-	-	-	5,912,850
სავალდებულო რეზერვი					
საქართველოს ეროვნულ ბანკში სხვა ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები	254,542	-	-	-	254,542
დისკონტური ფასიანი ქაღალდები კლიენტებისათვის გაცემული სესხები	13,840,736	-	-	-	13,840,736
წინასწარ გადახდილი გადასახადები	127,251	262,344	295,594	294,921	980,110
ძირითადი საშუალებები, წმინდა	-	-	668,854	-	668,854
არამატერიალური აქტივები, წმინდა	-	-	-	80,656	80,656
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	-	-	149,713	149,713
სხვა აქტივები	93,482	-	-	21,331	21,331
<b>სულ აქტივები</b>	<b>20,228,861</b>	<b>262,344</b>	<b>964,448</b>	<b>546,621</b>	<b>22,002,274</b>
<b>ვალდებულებები</b>					
საბანკო დეპოზიტები	1,048	-	-	-	1,048
მიმდინარე დეპოზიტები	5,108,370	387,978	100,020	-	5,596,368
სხვა ვალდებულებები	944,756	-	-	-	944,756
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>6,054,174</b>	<b>387,978</b>	<b>100,020</b>	-	<b>6,542,172</b>
<b>წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა</b>	<b>14,054,198</b>	<b>31,261</b>	<b>325,793</b>	<b>823,950</b>	<b>15,232,203</b>
<b>დაგროვილი ლიკვიდურობის სხვაობა</b>	<b>14,054,198</b>	<b>14,082,459</b>	<b>14,408,252</b>	<b>15,232,203</b>	

ვადადაცილებული ვალდებულებები, თუ ასეთი არსებობს ბალანსის თარიღისათვის, კლასიფიცირდება „მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები“ სვეტში. ვადადაცილებული აქტივები (მოთხოვნები, რომლებიც დებიტორებს არ დაუფარავთ შეთანხმებულ ვადაში), თუ ასეთი არსებობს ბალანსის თარიღისათვის, განთავსებულია მათი საგარეულო გადახდის ვადის მიხედვით. სავალდებულო რეზერვის ნაშთი სვეტში შეტანილია „მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები“-ის სვეტში, რადგან ამ ბალანსთან დაკავშირებული ვალდებულებების უმრავლესობა ასევე შესულია ამ კატეგორიაში.



**16. ფინანსური რისკების მართვა (გაბრძანება)**

აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებისა და პროცენტული განაკვეთების შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის მართვა მნიშვნელოვანი საკითხია ბანკის მენეჯმენტისათვის. ბანკისათვის უჩვეულო სრული თანხედრა, რადგან ბიზნეს-გარიგებები ხშირად გაურკვეველი ვადისა და განსხვავებული ტიპისაა. შეუთავსებელი პოზიცია პოტენციურად აუმჯობესებს მომგებიანობას, მაგრამ ასევე შეუძლია გაზარდოს დანაკარგების რისკი. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა და პროცენტის მქონე ვალდებულების გადანაცვლების უნარი მათი დაფარვის ვადის დადგომისას მნიშვნელოვანი ფაქტორია ბანკის ლიკვიდურობის, პროცენტების და გაცვლითი კურსის მიმართ ცვლილებების მიმართ ზეგავლენის შეფასებაში.

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კლიენტების მოთხოვნამდე ანგარიშების მნიშვნელოვანი რაოდენობის მიუხედავად, მონაბრეების რიცხვისა და ხასიათის მრავალფეროვნებისა და ბანკის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, მათ შეუძლიათ უზრუნველყონ ბანკისათვის დაფინანსების გრძელვადიანი და სტაბილური წყარო.

**17. პირობითი ვალდებულებები**

საქართველოს კანონმდებლობა საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო სფეროში განიცდიდა ხშირ ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ ბანკის გარიგებებსა და საქმიანობასთან მიმართებაში გაკეთებული კანონმდებლობის ინტერპრეტირება შესაძლოა არ შეესაბამებოდეს საგადასახადო სამსახურების ინტერპრეტაციას. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ გამოიჩინონ კანონმდებლობის განსხვავებული ინტერპრეტაცია ადრე მომხდარი გარიგებებისა და საქმიანობის მიმართ. შესაბამისად, შეიძლება წარმოიქმნას დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და საურავების დარიცხვის არსებითი რისკი. საგადასახადო ვალდებულებების ხანდაზმულობის ვადა, რაც ხელისუფლებას გადასახადების გადახდვის უფლებას აძლევს, 6 წელს შეადგენს. თუმცა გასათვალისწინებელია საქართველოს კანონმდებლობა ფინანსური ამნისტიის შესახებ 2004 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის.

ბანკის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სათანადოდ არის განხორციელებული და ბანკის საგადასახადო, სავალუტო, საბაჟო კანონმდებლობით დარეგულირებული პოზიციები შენარჩუნებული იქნება. იქ სადაც მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ბანკის ეს პოზიციები არ შენარჩუნდება, გაკეთებულია შესაბამისი დარიცხვა ფინანსურ ანგარიშგამოკვეთაში.

**18. დაკავშირებულ მხარეთა ბარიერები**

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშებში ითვლება, რომ მხარეები ურთიერთდაკავშირებული არიან, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარეზე ფინანსური ან ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღების დროს ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა ახსნა-განმარტებები“ შესაბამისად. თითოეულ დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვის დრო ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმაზე.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:

	2009 წელი	2008 წელი
<b>მიმდინარე დეპოზიტები</b>		
მიმდინარე ანგარიშები ზირათ ბანკის უცხოურ ფილიალებში	1,176,691	2,527,756

2009 წელს ბანკის მენეჯერების მთლიანმა ანაზღაურებამ შეადგინა 255 278 ლარი (2008: 165 841 ლარი).



### **19. სასამართლო დავები**

2009 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკი არ ყოფილა რაიმენაირ სასამართლო პროცესებში.

### **20. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები**

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

\*\*\*\*\*